ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აგრძელებს თანამშრომლობას ევროკომისიის პროგრამა ERASMUS MUNDUS-თან და BACKIS პროექტის ფარგლებში აცხადებს კონკურსს საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალისთვის (მეორე სამიზნე ჯგუფი) ევროპის 8 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გაცვლითი სტიპენდიის მოსაპოვებლად

სააპლიკაციო დოკუმენტაციის მიღება ხდება ელექტრონულად შემდეგი ვებ-გვერდის საშუალებით:
http://www.wbackis.univ-montp2.fr/

სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალი	**აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალი**
ცნობა სტატუსის შესახებ	გაცემული პერსონალის მართვის დეპარტამენტის მიერ, რომ ამჟამად რეგისტრირებული ხართ საქართველოში აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (დოკუმენტის ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია, თუ დოკუმენტი არ არის ინგლისურ ენაზე)
ენის საერთაშორისო სერთიფიკატი (TOEFL, IELTS)	ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის არქონის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოთ მშობლიურ უნივერსიტეტში ენის ტესტის (B2) ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი (მიმღებ უნივერსიტეტში სასწავლო ენად შემოთავაზებული ენებიდან ერთ-ერთის: ინგლისური, გერმანული, იტალიური და ა.შ). ტესტი არ ეხებათ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლებს, რომელთა სამუშაო ენა არის ინგლისური (ან შესაბამისი უნივერსიტეტის მიერ მოთხოვნილი სხვა ენა: გერმანული, იტალიური და ა.შ) და თუ აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა შეუძლიათ. შესაძლებელია, ასევე, რომ ზოგიერთმა უნივერსიტეტმა სავალდებულოდ მიიჩნიოს საერთაშორისო ენის სერთიფიკატის ქონა, გადაამოწმეთ ინფორმაცია სასურველი უნივერსიტეტის მოთხოვნებში!!
სამუშაო გეგმა	უნდა შეიცავდეს დაგეგმილი ტრენინგის, სწავლების, კვლევის ან/და თანამშრომლობის აქტივობებს (დანართი 1)
მოტივაციის წერილი	განმარტეთ, როგორ აირჩიეთ მასპინძელი უნივერსიტეტი, რა გავლენას მოახდენს თქვენი მობილობა მშობლიურ უნივერსიტეტზე,

	მოსალოდნელი თანამშრომლობის შესაძლებლობები (ინგლისურ ენაზე)
მხარდაჭერის წერილი მშობლიური უნივერსიტეტისგან	დასტური, რომ მშობლიურ უნივერსიტეტს აქვს აკადემიური ინტერესი ამ პროგრამაში მონაწილეობის მიღებით და დაბრუნების შემდეგ მოახდენს თქვენს ინტეგრირებას
დაინტერესების წერილი მასპინძელი უნივერსიტეტისგან	მასპინძელი უნივერსიტეტის კვლევითი განყოფილების, ფაკულტეტის, მიმართულების, ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელის წერილი, რომ თქვენ შესაბამისი ხართ თანამშრომლობისთვის (შერჩევის შემთხვევაში)
CV	ევროპული ფორმატი
პუბლიკაციების/ნაშრომების/ფუნქციების ჩამონათვალი	Word-ის დოკუმენტში
პასპორტი	სურათიანი გვერდის დასკანერებული ვერსია

პროექტში მონაწილე ევროპული უნივერსიტეტები:

1. მონპელიეს უნივერსიტეტი 2
2. ტალინის უნივერსიტეტი
3. ვილნიუსის გედიმინას ტექნიკური უნივერსიტეტი
4. მასარიკის უნივერსიტეტი
5. პას ვასკოს უნივერსიტეტი
6. ტურინის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი
7. ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტი
8. ანტვერპენის უნივერსიტეტი

პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებული სასწავლო პროგრამები:
https://www.wbackdep.univ-montp2.fr/offers.php
მობილობის პერიოდი: 2014/2015 აკადემიური წელი
მობილობის ხანგრძლოვობა: 1 თვე
სტიპენდია მოიცავს 2500 ევროს ყოველთვიურად, საერთაშორისო მგზავრობისა და დაზღვევის დაფინანსებას.

სრული სააპლიკაციო დოკუმენტაციის პროექტის ვებ-გვერდზე ატვირთვის ბოლო ვადა:
2014 წლის 17 თებერვალი

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ
ანი ჭელიშვილს თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში
თსუ პირველი კორპუსი, პირველი სართული, ოთახი 121. ელ-ფოსტა: erasmus@tsu.ge